ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1919229

ნომერი: AR1310929

თარიღი : 21.05.2015

გაცემის თარიღი : 28.05.2015

გაცნობის თარიღი : 28.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა 300 არაგველი , N 2ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვახტანგ ჯანაშვილი პ/ნ 01024004437
- თბილისი მ.ასათიანის ქ. N 10ა ბ. 58

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ბლოკჯორჯია კოდი: 220101850

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სასტუმრო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, 300 არაგველის ქ. #2ა-ში (საკადასტრო კოდით: #01.17.01.137.011) არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი დღევანდელი მდგომარეობით მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ-2) - სა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ში. AR1310919 (18.05.2015) განაცხადით აღნიშნული საკითხი ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე განხილული იქნა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 2015 წლის 21 მაისის #21 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზეც ფუნქციური ზონის სტატუსის - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ის საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ით ცვლილებას მიეცა თანხმობა. საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილი იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე. გამომდინარე იქიდან, სანამ არ მოხდება ფუნქციური ზონის სტატუსის, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ის საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ით ცვლილება (შემდგომ იქნება შესაძლებელი მიწის ნაკვეთისთვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე მსჯელობა), სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს აღნიშნული საკითხი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.